პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 11 ივნისი, 1944 წ. № 118 (7062). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გავაძლიეროთ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების მუშაობა. მოწინავე (1-ლი გვერდი).

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და კანადის მიერ საბჭოთა კავშირისათვის საჭურვლის, სტრატეგიული ნედლეულის, სამრეწველო მოწყობილობისა და სურსათის მიწოდების შესახებ (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 10 ივნისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

საუზმე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების წლისთავის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

ალიო ადამია. ამ პატარა მთაზედაც... (მე-2 გვერდი).

გრ. ნუცუბიძე. რამდენიმე შენიშვნა (მე-2 გვერდი).

მ. საკარული. წერილები ფრონტიდან (მე-2 გვერდი).

დოც. ირ. მიქელაძე. წარმოების ნაკადური მეთოდი (მე-3 გვერდი).

სანდრო ეული. კავკასიონზე. (ნაწყვეტი პოემიდან) (მე-3 გვერდი).

გრეიპფრუტი, ლიმონი, მანდარინი... (მე-3 გვერდი).

ან. ღვინიაშვილი. „ადვოკატი პატლენი" (მე-4 გვერდი).

შეჭრის რაიონი. ცნობა (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დილის ცნობა. ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ბერლინს. საომარი მოქმედება იტალიაში. იტალიის ახალი მთავრობის შედგენა. პალმირო ტოლიატის (ერკოლის) მიმართვა იტალიის პატრიოტებისადმი (მე-2 და მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების მუშაობა

სამამულო ომის დღეებში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები წარმატებით ასრულებენ დიდი სტალინის ისტორიულ მითითებებს, ყოველმხრივ ეხმარებიან წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში.

საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმმა ომიანობის დროის შესაფერისად გაშალა მუშაობა და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკათა შორის მან ზედიზედ ოთხჯერ დაიკავა პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა დღემდე შეინარჩუნა.

საჰაერო-ქიმიური თავდაცვის მეათე საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც ახლახან დამთავრდა, საქართველოდან ერთიორად მეტმა პირველადმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა, ვიდრე მე-9 შეჯიბრებაში 1943 წელს. შეჯიბრების მანძილზე საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას შეეტანა 118.600 ახალი წევრი. შექმნილია 120 ახალი პირველადი ორგანიზაცია, ამავე ხნის განმავლობაში საქართველოში ჩატარდა 16 ათასი ლაშქრობა და სავარჯიშო სწავლება; მოეწყო 18.700 ლექცია და საუბარი თავდაცვითს თემებზე. მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა მასობრივ-თავდაცვითი მუშაობა. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა უკვე 109 პროცენტით შეასრულა საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადების წლიური გეგმა. ამ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აჭარის ასსრ რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭომ, ქუთაისის საქალაქო საბჭომ და ახმეტის რაისაბჭომ.

საჰაერო-ქიმიური თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სკოლებში ჩამოყალიბებულ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადს ორგანიზაციებს. ჩვენ გვყავს ბევრი პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ასეთია, მაგალითად, თბილისის თამბაქოს ფაბრიკასთან არსებული ორგანიზაცია. მასში უკლებლივ ყველა მუშა-მოსამსახურეა გაერთიანებული. მათ ჩაბარებული აქვთ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნორმები. ათობით მუშან შეისწავლა სამხედრო სპეციალობა. 1944 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში აქ რვაჯერ ჩატარდა სავარჯიშო სწავლება, მოეწყო 6 ლექცია. ფაბრიკაში მოწყობილია საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ოთახი. მუშები საუკეთესოდ მუშაობენ აირწინაღებით და ამ დროს სამუშაო ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ. თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი კარგად მუშაობს, პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს. უყვარს იგი. ფაბრიკის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ თავდაცვითს მუშაობას და ეხმარებიან ამ საქმის საუკეთესოდ დაყენებას.

ხოლო იქ, სადაც თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი უმოქმედობას იჩენს, სადაც პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მას სათანადოთ არ ეხმარებიან, ადგილი აქვს ჩამორჩენას თავდაცვითს მუშაობაში.

თბილისის ასფალტ-ბეტონის ქარხანაში მუშათა მცირე პროცენტია ჩაბმული თავდაცვა-ავიაქიმის წევრებად. აქ მიმდინარე წელს ჩაიშალა მზადება საჰაერო-ქიმიური თავდაცვის I საფეხურის ნორმების ჩასაბარებლად. არ შესრულებულა ვოროშილოველ მსროლელთა მომზადების გეგმა, არ მოწყობილა ვარჯიში აირწინაღებით. თბილისის ავეჯის ფაბრიკაშიც ყველა მუშა არ არის თავდაცვა-ავიაქიმის წევრი, არ სწარმოებს საწევრო ანარიცხების აკრეფა, არ ეწყობა სავარჯიშო სწავლება, 6 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი საუბარი ჩატარდა თავდაცვის თემაზე. ასეთივე მდგომარეობაა თბილ-ვაჭრობის კვების კომბინატშიც.

თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციები უნდა იყვნენ თავიანთი წევრების აღმზრდელები, ყველა იმ ღონისძიებათა ინიციატორები და ორგანიზატორები, რომლებიც გამომდინარეობენ თავდაცვა-ავიაქიმის ძირითადი ამოცანებიდან. მათ თავიანთ წევრებს უნდა შეასწავლონ სამხედრო საქმე, მოამზადონ თავდაცვა-ავიაქიმის ნორმების ჩასაბარებლად, მონაწილეობა მიიღონ ყველა ღონისძიებაში, რასაც მათი კოლექტივი ატარებს ფრონტის დასახმარებლად. საცხოვრებელი სახლის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოლიოს თავისი სახლის თავდაცვითი ჯგუფი.

დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სკოლების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს. ისინი უნდა დაეხმარონ ხელმძღვანელებს მოსწავლეთა სამხედრო აღზრდაში, ჩაუნერგონ მოსწავლეებს სამხედრო საქმის სიყვარული, ორგანიზებულობა და დისციპლინა.

თავდაცვა-ავიაქიმის ყველა პირველადს ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს თავისი საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციებთან და მიაღწიოს იმას, რომ კომკავშირელები ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ყველა თავდაცვითს ღონისძიებაში, მაგალითს წარმოადგენდნენ თავდაცვა-ავიაქიმის დანარჩენი წევრებისათვის.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ საწარმო-დაწესებულებაში, ყოველ კოლექტივში, სადაც მუშაობენ, ცხოვრობენ და სწავლობენ საბჭოთა ადამიანები, ჩამოყალიბებული იყოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია. მაგრამ საქმე ჩამოყალიბებით როდი უნდა განისაზღვროს. მთავარია შევარჩიოთ და აღვზარდოთ აქტივი, რათა მისი დახმარებით ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა. პირველადი ორგანიზაციების განმტკიცება საფუძვლად უდევს თავდაცვა-ავიაქიმის მთელ მუშაობას, რომლის წინაშე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას.

იმ დიდ და სერიოზულ მუშაობაში, რომელსაც საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი ეწევა სამამულო ომის დღეებში, მას ყოველდღიურად უნდა ხელმძღვანელობდნენ პარტიული ორგანიზაციები, უნდა ეხმარებოდნენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის თვითეულმა წევრმა უნდა იბრძოლოს მიღწეულ წარმატებებია განსამტკიცებლად, უკეთესად იმუშაოს ჩვენი სამშობლოს საჰაერო და ქიმიური თავდაცვის გასაძლიერებლად, ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის დასახმარებლად, გერმანელ ფაშისტ დაჩეყრობთა სრული განადგურების დასაჩქარებლად.

საუზმე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების წლისთავის აღსანიშნავად

აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისათვის გამოსაყენებელი პრინციპების შესახებ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმების მეორე წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა 10 ივნისს გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი დ. დინი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის საარმიო სექციის უფროსი ბრიგადის გენერალი ვ. კრისტი, ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო პალატის თავმჯდომარე ბ-ნი ე. ჯონსტონი, დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ბ. ბაროსი, კონტრ-ადმირალი ე. არჩერი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა. საბჭოთა მხრივ დაესწრნენ ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, მ. მ. ლიტვინოვი, ადმირალი ლ. მ. გალერი, ა. დ. კრუტიკოვი, ვ. ა. სერგეევი, მ. ს. სტეპანოვი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ა. ვ. ნიკიტინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომელნი.

ვ. მ. მოლოტოვმა და ბ-ნმა ჰარიმანმა მოკლე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მეორე წლისთავის გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და კანადის მიერ საბჭოთა კავშირისათვის საჭურვლის, სტრატეგიული ნედლეულის, სამრეწველო მოწყობილობისა და სურსათის მიწოდების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, რომლებიც საბჭოთა კავშირთან გაერთიანებული არიან ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა სწრაფი განადგურების საერთო დიდი მიზნით, საბჭოთა კავშირის ფარგლებში გერმანელ ფაშისტთა ურდოების შეჩერის შემდეგ მალევე შეუდგნენ სსრ კავშირის მომარაგებას საჭურვლით, სამრეწველო მოწყობილობით, მასალებითა და სურსათით. ამ მომარაგებაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე კანადა, რომელიც 1943 წ. 1 ივლისამდე სსრ კავშირისადმი მიწოდებას ახორციელებდა ინგლისის ვალდებულებათა ანგარიშში, შემდეგ კი დამოუკიდებლად იწყო მისი განხორციელება. საბჭოთა კავშირისათვის აღნიშნული ძირითადი მასალების მიწოდებით ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და კანადა ხელს უწყობენ წითელი არმიის წარმატებებს, ფაშისტი დამპყრობლებისაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების საქმეში და ჰიტლერულ გერმანიასა და მის სატელიტებზე მოკავშირეთა საერთო გამარჯვების დაჩქარების საქმეში.

მიწოდებას შეერთებული შტატები ახორციელებდნენ საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის (ლენდ-ლიზის კანონის) საფუძველზე, დიდი ბრიტანეთი — უმთავრესად ურთიერთ მიწოდების, კრედიტისა და გადასახდელთა წესის შესახებ 1941 წლის 16 აგვისტოს შეთანხმების საფუძველზე, აგრეთვე სამხედრო მიწოდების დაფინანსებისა და სხვა სამხედრო დახმარების შესახებ 1942 წლის 27 ივნისის შეთანხმების საფუძველზე, კანადა — გაერთიანებული ერების ურთიერთ დახმარების შესახებ კანადის კანონის თანახმად.

ქვემოთ ქვეყნდება ცნობები საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა საბჭოთა კავშირისათვის ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და კანადის მიწოდებათა შესახებ.

I. ამერიკის შეერთებული შტატების მიწოდებანი საბჭოთა კავშირისათვის. რაც მოხდა 1941 წლის 1 ოქტომბრიდან 1944 წლის 30 აპრილამდე საჭურვლის სესხად და იჯარით გადაცემის კანონის (ლენდ-ლიზის კანონის) საფუძველზე

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საჭურვლის სესხად და იჯარით გადაცემის კანონის (ლენდ-ლიზის კანონის) საფუძველზე გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირს 1941 წლის 1 ოქტომბრიდან 1944 წლის 30 აპრილამდე 8,5 მილიონი ტონა საჭურველი, სტრატეგიული ნედლეული, სურსათი და მოწყობილობა, სულ 5.357 მილიონი დოლარისა.

გამოგზავნილი რაოდენობიდან საბჭოთა კავშირში მოვიდა 7,4 მილიონი ტონა, 4.612 მილიონი დოლარისა, მათ შორის 1941-1942 წლებში 1,2 მილიონი ტონა, 1943 წელს 4,1 მილიონი ტონა და 1944 წლის 4 თვის განმავლობაში — 2,1 მილიონი ტონა. 1944 წლის 1 მაისისათვის გზაში გემებზე იყო 68,4 ათასი ტონა.

ამ პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირში შეერთებული შტატებიდან მოწოდებულია შემდეგი, ყველაზე უმნიშვნელოვანესი შეიარაღების და სამხედრო აღჭურვილობის საშუალებანი: თვითმფრინავი—6.430, და გარდა ამისა 2.442 თვითმფრინავი, რაც მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან დიდი ბრიტანეთის ვალდებულებათა ანგარიშში, ტანკი — 3.734, ნაღმის ტრალერი — 10, წყალქვეშა ნავებზე დიდი მონადირე გემი — 12, ტორპედიანი კატერი და წყალქვეშა ნავებზე პატარა მონადირე გემი — 82, ავტომობილია — 206.771, სამხედრო მექანიზებული ტრანსპორტის სხვა საშუალებანი — 5.397 ერთეული, მოტოციკლი — 17.017, საზენიტო ზარბაზანი — 3.168, „ერლიკონის" ზარბაზანი — 1.111, ყუმბარა — 22,4 მილიონი ცალი, ვაზნა — 991,4 მილიონი ცალი, თოფისწამალი— 87,9 ათასი ტონა, ტოლუოლი, ტრინიტროტოლუოლი და ამონიტი — 130 ათასი ტონა, საველე სატელეფონო მავთული — 1.229 ათასი კილომეტრი, ტელეფონის აპარატი — 245 ათასი ცალი, საარმიო ფეხსაცმელი—5,5 მილიონი წყვილი, საარმიო მაუდი — 22,8 მილიონი იარდი, ავტოსაფარი — 2.073 ათასი ცალი.

სტრატეგიულ ნედლეულში მოწოდებულია: მაღალტანიანი საავიაციო საწვავი (ავიაბენზინი და იზოოქტანი)—476 ათასი ტონა, ალუმინი, დიფურალიმინი—99 ათასი ტონა, სპილენძი და სპილენძის ნაწარმი — 184 ათასი ტონა, თუთია — 42 ათასი ტონა, ნიკელი — 6,5 ათასი ტონა, ფოლადი და ფოლადის ნაწარმი — 1.160 ათასი ტონა, აქედან რელსები სამგზავრიანად — 246 ათასი ტონა.

თავდაცვის მრეწველობის საჭიროებისათვის მოწოდებულია: ლითონსაჭრელი ჩარხი — 20.380, სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობა — 257,2 მილიონი დოლარისა, მათ შორის ენერგომაღლივანი მოწყობილობა — 288 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრისა. ამაში შედის 263 მოძრავი ელექტროსადგური 39 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრისა, 4 ნავთსაბადელი ქარხნისა და ალუმინის საგლინავი ქარხნის მოწყობილობა, 4.138 ბუმის ძრავი 1.768,7 ათასი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრისა, 2.718 წნეხი და ურო, 524 ამწე, 209 ექსკავატორი და რკინიგზის ტრანსპორტის საჭიროებისათვის ორთქლმავალი — 241, პლატფორმა — 1.154, შეკავა გადასაზიდი ცისტერნი — 80 ცალი.

სურსათი მოსულია 2.199 ათასი ტონის რაოდენობით.

II. დიდი ბრიტანეთის მიწოდებანი საბჭოთა კავშირისათვის. რაც მოხდა 1941 წლის 22 ივნისიდან 1944 წლის 30 აპრილამდე

დიდმა ბრიტანეთმა 1941 წლის 22 ივნისიდან მიმდინარე წლის 30 აპრილამდე საბჭოთა კავშირში გამოგზავნა 1.150 ათასი ტონა საჭურველი, სტრატეგიული ნედლეული, სამრეწველო მოწყობილობა და სურსათი. ამ რაოდენობიდან 319 ათასი ტონა საჭურველი გამოგზავნილ იქნა აუნაზღაურებლად სამხედრო დახმარების წესით; 815.000 ტონა ნედლეული, სამრეწველო მოწყობილობა და სურსათი 83,7 მილიონი გირვანქა სტერლინგისა გამოგზავნილ იქნა სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთმიწოდების, კრედიტისა და გადასახდელთა წესის შესახებ 1941 წლის 16 აგვისტოს შეთანხმების საფუძველზე (ნაწილი კრედიტის წესით, ნაწილი ნაღდ ანგარიშზე); მცირე რაოდენობის ტვირთები (2.000 ტონა 0,5 მილიონი გირვანქა სტერლინგისა) გამოგზავნილ იქნა ომის დასაწყისშივე ნაღდ ანგარიშზე.

გამოგზავნილი ტვირთების რაოდენობიდან საბჭოთა კავშირში მოვიდა 1.041 ათასი ტონა, მათ შორის 1941 წელს — 158 ათასი ტონა, 1942 წელს — 375 ათასი ტონა, 1943 წელს — 364 ათასი ტონა და მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში — 144 ათასი ტონა.

მიმდინარე წლის 1 მაისისათვის გზაში იყო საბჭოთა კავშირში გამოგზავნილი 44 ათასი ტონა ტვირთი.

საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთიდან მოსულია ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შემდეგი საჭურვლის საგნები და სამხედრო აღჭურვილობა: 3.384 თვითმფრინავი და გარდა ამისა 2.442 თვითმფრინავი მოსულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან დიდი ბრიტანეთის ვალდებულებათა ანგარიშში; 4.292 ტანკი, 12 ნაღმის ტრალერი, 5.239 ავტომანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 562 საზენიტო ზარბაზანი, 548 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, ყუმბარა — 17 მილიონი ცალი, ვაზნა — 290 მილიონი ცალი, თოფისწამალი — 17,3 ათასი ტონა, 214 საარტილერიო ცეცხლის სამართავი რადიოდანადგარი, 116 წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენი ხელსაწყო.

სტრატეგიული ნედლეულიდან მოსულია: კაუჩუკი — 103,5 ათასი ტონა, ალუმინი — 35,4 ათასი ტონა, სპილენძი — 33,4 ათასი ტონა, კალა — 29,4 ათასი ტონა, ტყვია — 47,7 ათასი ტონა, თუთია — 7,4 ათასი ტონა, ნიკელი — 2,7 ათასი ტონა, კობალტი—245 ტონა, ჯუტი, სიზალი და მათი ნაწარმი — 93 ათასი ტონა.

თავდაცვითი მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობიდან მოსულია: 6.491 ლითონსაჭრელი ჩარხი, 14,4 მილიონი გირვანქა სტერლინგის სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობა, მათ შორის: ენერგოძალოვანი მოწყობილობა 374 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრისა, 15.084 ელექტრომოტორი, 104 წნეხი და ურო, 24 პორტალური ამწე, 1.206 ათასი გირვანქა სტერლინგის ტექნიკური ალმასები.

სურსათი მოსულია 138,2 ათასი ტონის რაოდენობით.

III. კანადის მიწოდებანი საბჭოთა კავშირისათვის

ომის დაწყებიდან 1943 წლის 1 ივლისამდე საბჭოთა კავშირისათვის კანადიდან მიწოდება ხდებოდა დიდი ბრიტანეთის ვალდებულებათა ანგარიშში სსრ კავშირსა და კანადას შორის კრედიტის შესახებ 1942 წლის 8 სექტემბრის შეთანხმების მიხედვით. 1943 წლის 1 ივლისიდან კანადა საბჭოთა კავშირისათვის მიწოდებას დამოუკიდებლად ახორციელებს კანადის მიერ საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო მიწოდებებზე სსრ კავშირისა და კანადის შეთანხმების მიხედვით, თანახმად კანადის კანონისა „გაერთიანებულ ერთა ურთიერთდახმარების შესახებ".

მიწოდებათა დაწყებიდან მიმდინარე წლის 30 აპრილამდე კანადამ საბჭოთა კავშირში გამოგზავნა 460 ათასი ტონა საჭურველი, სტრატეგიული მასალები და სურსათი (ხორბალი და ფქვილი) სულ 187,6 მილიონი კანადური დოლარისა. ამ რაოდენობიდან გამოგზავნილ იქნა: ინგლისის ვალდებულებათა ანგარიშში 1943 წლის 1 ივლისამდე 93 ათასი ტონა ტვირთები 116,6 მილიონი კანადური დოლარისა, კრედიტის შესახებ სსრ კავშირისა და კანადის შეთანხმების მიხედვით — 182 ათასი ტონა ხორბალი და ფქვილი 10 მილიონი კანადური დოლარისა და „გაერთიანებულ ერთა ურთიერთდახმარების" კანონის შესაბამისად — 1943 წლის 1 ივლისიდან მიმდინარე წლის 30 აპრილამდე — 175 ათასი ტონა ტვირთები 61 მილიონი კანადური დოლარისა.

კანადის მიერ გამოგზავნილი ტვირთებიდან საბჭოთა კავშირში მოვიდა 355 ათასი ტონა, მათ შორის 1942 წელს — 125 ათასი ტონა, 1943 წელს — 124 ათასი ტონა და მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში — 106 ათასი ტონა.

საბჭოთა კავშირში კანადიდან მოსულია: 1.188 ტანკი, 842 ჯავშანტრანსპორტიორი, 2.568 საბარგო მანქანა, 827 ათასი ყუმბარა, 34,8 მილიონი ვაზნა, 5 ათასი ტონა თოფისწამალი, 36,3 ათასი ტონა ალუმინი, 9,1 ათასი ტონა ტყვია, 23,5 ათასი ტონა სპილენძი, 6,7 ათასი ტონა თუთია, 1.324 ტონა ნიკელი, 13,3 ათასი ტონა რელსი, 208,6 ათასი ტონა ხორბალი და ფქვილი.

მიმდინარე წლის 1 მაისისათვის გზაში იყო კანადიდან საბჭოთა კავშირში გამოგზავნილი 60 ათასი ტონა ტვირთები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 ივნისის ოპერატიული ცნობა

10 ივნისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

9 ივნისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა გუშინ იერიში მიიტანეს 6 ნაწილის პოზიციებზე. უფროს ლეიტენანტ ბუცინოვის ასეულს მებრძოლებმა საფლანგო ცეცხლით მოსწყვიტეს მტრის ქვეითები ტანკებს. საბჭოთა არტილერისტებმა გერმანელთა სამი ტანკი დააზიანეს. მოწინააღმდეგის სხვა ორი ტანკი ჩვენს ნაღმიან ველზე აფეთქდა. გერმანელთა ქვეითი ჯარი, რომელსაც ტანკები ალარ იფარავდნენ, დიდი ზარალით უკუგდებულ იქნა თავდაპირველ ზღუდეზე.

• • •

ქალაქ იასის ჩრდილოეთით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა იერიშის შედეგად პოზიციები გაუმჯობესეს. დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 4 ქვემეხი და 18 ტყვიამფრქვევი. მოწინააღმდეგემ 150 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. მოკლულთა და დაჭრილთა სახით, ერთ-ერთ უბანზე უფროს ლეიტენანტ იურკოვის ქვეგანაყოფის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდმა, რომელიც ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებებში იმყოფებოდა, ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგის ტანკებს. მალე მთელი გუნდი, ქვემეხის მეთაური სერჟანტ აფანასიევის გარდა, წყობიდან გამოვიდა.

• • •

ქალაქ ვიტებსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 შენაერთის სნაიპერებმა ერთი თვის განმავლობაში ბევრი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. სნაიპერმა ეფრეიტორმა მალიშმა ამ ხნის განმავლობაში 17 გერმანელი მოჰკლა, სერჟანტმა ლიჩკომ — 17, უფროსმა სერჟანტმა ტანინმა — 15, სერჟანტმა კოსპირევმა 13 ჰიტლერელი მოსპო. ამ უბანზე ტყვედ წამოყვანილმა გერმანელებმა განაცხადეს: „სნაიპერის ცეცხლით ჩვენი პოლკი ყოველდღე რამდენიმე ჯარისკაცსა და ოფიცერს ჰკარგავდა. რუს სნაიპერებს ძუძემივ ზეშში ვყევართ. ჩვენ სანგრებიდან თავის ამოყოფისა ვშიშობთ".

• • •

დროგობიჩის ოლქში მოქმედი სუვოროვის სახელობის პარტიზანული რაზმი უეცრად დაესხა თავს გერმანელებს, რომელნიც რკინიგზის სადგურს იცავდნენ. ჰიტლერელებმა ქვიტკირის შენობებს შეაფარეს თავი და გაფორებულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. შეუპოვარი შეტაკების შედეგად საბჭოთა პატრიოტებმა მტრის 40 ჯარისკაცი გაელიტეს და სადგური დაიკავეს. პარტიზანებმა აიფეთქეს რკინიგზის ლიანდაგი, დასწვეს ორი სამხედრო საწყობი და თავიანთ ბაზაში დაბრუნდნენ. დროგობიჩის, სხვა რაზმის პარტიზანებმა 20-დან 26 მაისამდე ლიანდაგიდან გადაადგეს გერმანელთა 4 სამხედრო ეშელონი, 3ათ შორის ერთი შემადგენლობა საწვავიანად.

• • •

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა 164-ე პოლკის ეფრეიტორმა პაულ ტ-მ განაცხადა: „იანვრის დამლევს მე სამხრეთ ბატალიონის შემადგენლობაში ფრონტზე გამგზავნეს 57-ე დივიზიის შესავსებად. ჩვენ თითქმის 20 დღეს ვიმყოფებოდით გზაში, ვაგონებიდან გამოუსვლელად. მაგრამ დივიზიაში შესვლას ვერ ეღირსა. თებერვალში იგი გარეშოცვაში მოჰყვა კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში და სულ მთლად მოსპობილ იქნა. ამის შემდეგ ბატალიონი ქალაქ მელეცში (ბოლონეთი) გაგზავნეს. აქ დაიწყო ახალი დივიზიის შედგენა, რომელსაც მიეკუთვნა ნომერი 57. აპრილის დამლევს ხელახლა შედგენილი 57-ე ქვეითი დივიზია ფრონტზე გაემგზავრა ბრესტ-ლიტოვსკ-მინსკ-ორშის მარშრუტით".

ტყვედ წამოყვანილმა იმავე დივიზიის 217-ე პოლკის ეფრეიტორმა ლეო კლამბერმა განაცხადა: „ფრონტზე ყოფნის პირველი დღეებიდანვე ჩვენ მეტად დამფრთხალი ვიყავით. ჯარისკაცები ამბობდნენ: „რუსებმა ტყვე მოსპეს ერთი 57-ე დივიზია კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში, ისინი ჩვენამდეც მოაღწევენო". საქმე იქამდე მივიდა, რომ ოფიცრებმა აგვიკრძალეს დივიზიის წარსულზე ლაპარაკი და კორსუნ-შევჩენკოვსკის ხსენება. რუსი მზვერავები ხშირად შეუმჩნევლად შემოაღწევდნენ ჩვენი ბატალიონის განლაგებაში, ტყვედ მიჰყავდათ ჯარისკაცები და მიჰქონდათ ჩვენი ტყვიამფრქვევები. ამას წინათ ჩვენ ფვიბრძანეს დაგვება ყველა ტყვიამფრქვევი, რომ რუსებს ვერ მოეტაცნათ ისინი. ჯარისკაცები იცინოდნენ ამ ბრძანების გამო და ამბობდნენ: „თუ რუსებმა ტყვიამფრქვევამდე მოაღწიეს, მათ თოკი ვეღარ დააკავებსო". ღამით ორი რუსი მზვერავი მოგვეპარა, მათ დასჭრეს დასაყრდენი პუნქტის მეთაური უნტერ-ოფიცერი ტორმაიერი, ხოლო მე და ტყვიამფრქვევი თან წამოგვათრიეს".

ბრძოლა „დონი-29"-სთან

(მოსკოვი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაზეთი „სტალინსკი სოკოლი" იუწყება, რომ სახელოვანმა მფრინავებმა უმცროსმა ლეიტენანტებმა რასტიაგაევმა და კუხიანიძემ გმირობა გამოიჩინეს მტერთან ბრძოლაში და ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავი „დონი-29". ფაშისტთა მზვერავთან ბრძოლა მოხდა ჩვენს ტერიტორიაზე, 8 ათასამდე მეტრ სიმაღლეზე. „დონი" დიდმნიშვნელოვანი ობიექტისაკენ მიდიოდა, ცხადია, განზრახული ჰქონდა მისი სურათის გადაღება. რასტიაგაევი და კუხიანიძე მყისვე აფრინდნენ მზვერავისათვის გზის გადასაღობავად. კუხიანიძემ პირველმა დაინახა „დონი", რომელმაც დაუყოვნებლივ იბრუნა პირი. მაშინ ჩვენმა მფრინავებმა იგი მარწუხში მოიმწყვდიეს. კუხიანიძემ მარცხნიდან შემოუარა მტრის მზვერავს, აიძულა იგი მარჯვნისაკენ მიბრუნებულიყო, იქ კი რასტიაგაევი დაუხვდა და ცეცხლი დაუშინა. ამავე დროს კუხიანიძემ გრძელი ჯერი დააყარა მანქანას, ხოლო რასტიაგაევმა ზარბაზნის ცეცხლი დაუშინა. ამის შედეგად „დონინეს" მოტორი კვამლში გაეხვია. უკვე ფრონტის ხაზზე ჩვენი მფრინავები ახლო დისტანციაზე დაეწივნენ თვითმფრინავს და რამდენიმე მეტრიდან დაუშინეს მოკლე ჯერი, რამაც ბრძოლას ბედი გადაწყვიტა. აღმოდებული „დონინე" ღრუბლებში გადაეშვა.

ვ. ყარა-მურზა

1944 წლის არქეოლოგიური ექსპედიციები

ამ ზაფხულს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტი დიდძალ ექსპედიციას მოაწყობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. არქეოლოგთა პირველი პარტიები უკვე ივნისში წავლენ ადგილებზე.

დიდი არქეოლოგიური გათხრები მოხდება ნოვგოროდის, კალინინის, სმოლენსკის, ბრიანსკის, ჩერნიგოვის, კიევის, სევასტოპოლისა და სხვა უძველესი რუსული ქალაქების ტერიტორიაზე. (საკდესი).

ნიკოლოზ პიგარევის გმირობა

უკრაინის 1-ლი ფრონტი, 9 ივნისი (საკდესის სპეც. კორ.). მტრის ტყვიამ

უკანასკნელი ცნობები

პაღმირო ფოლიჯოს (ერკოლის) მიმართვა იტალიის პატიოსანთა ფიროვნებისადმი

ალჟირი, 10 ივნისი (საკადესი). გუშინ ბარის რადიომ გადასცა პალმირო ტოლიატის მიმართვა გერმანელების მიერ ოკუპირებულ იტალიის რაიონთა პატრიოტებისადმი, რომელიც შეიცავს მოწოდებას აჯანყებისაკენ. მიმართვაში ნათქვამია:

„მოაწყეთ მთელ იტალიაში საყოველთაო აჯანყება! ეს არის ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ჩვენი დახმარება ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, რომლებიც ამ მომენტში გადამწყვეტ ოპერაციებს აწარმოებენ, ჩვენი დახმარება რუსი ჯარებისადმი, რომლებმაც სამი წლის ომის განმავლობაში მარტო გადაიტანეს მოწინააღმდეგის მძიმალების მთელი სიმძიმე".

პანიკა კვისლინგელთა შორის

სტოკჰოლმი, 10 ივნისი (საკადესი), ნორვეგიიდან აქ მოღებული ცნობებით, საფრანგეთში დაწყებულმა მოკავშირეთა ჯარების ოპერაციებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ნორვეგიის მოსახლეობაზე. მოკავშირეთა შეჭრის დაწყების ამბავი ჯერ კიდევ 6 ივნისს გავრცელეს ნორვეგიის ქალაქებში იმ ადამიანებმა, რომელნიც არალეგალურად ისმენდნენ რადიოგადაცემას. კვისლინგელებისა და გერმანელთა პოლიციის ჩაბარეგის მიუხედავად, ქუჩებში ხალხის ჯგუფები იკრიბებოდნენ.

შვეციარ-ნორვეგიის პრეს-ბიურო იუწყება, რომ კვისლინგელთა პარტიაში პანიკა დაიწყო. კვისლინგელთა „ნაციონალური ერთიანობის" პარტიის ნაშთები გარბიან. ბევრი მათგანი იჩქარის ოფიციალურად გამოვიდეს პარტიიდან.

რუმინეთის მოსახლეობა საბოტაჟს უწევს მთავრობის განკარგულებებს

სტამბოლი, 10 ივნისი (საკადესი). რუმინეთში ხელისუფალთა რეპრესიების მიუხედავად, მოსახლეობა განაგრძობს მთავრობის განკარგულებებისათვის საბოტაჟის გაწევას.

„საგალმწიფო კანონთა დამრღვევი,—სწერს გაზეთი „უნივერსული", — ისე ბევრი გახდა, რომ სერჟანტი გრეკი **და სერჟანტი** ტებენკოვი მზვერავთათვის გაჭრილი გასასვლელებით მავთულს იქით გავიდნენ. ისინი შეინიღბნენ 150 მეტრზე მტრის სანგრიდან და განთიადს ელოდნენ. ამასობაში მზვერავებმა კვამლის საფარი აუშვეს. გერმანელები დაფაცურდნენ, დაიკავეს ადგილები სანგარში ჩვენი სნაიპერების მახლობლად და თავს ჰყოფდნენ ხოლმე მიწაყრილიდან, რათა დაენახათ, საიდან ემუქრებოდა მათ საფრთხე. სნაიპერები შეუდგნენ გერმანელების ზედიზედ ხოცვას. საათნახევრის იბრძოდნენ მზვერავები. ამ ხნის განმავლობაში უმცროსმა ლეიტენანტმა უშაკოვმა მოჰკლა ოფიცერი და ორი ჯარისკაცი, უფროსმა სერჟანტმა გრეკმა—ორი მეტყვიამფრქვევე, სერჟანტმა ტებენკოვმა—ორი ჯარისკაცი.

ჰაერში რაკეტი აიტყორცნა. ამ სიგნალზე მზვერავები უკანვე წამოვიდნენ. მათთან ერთად წამოვიდნენ სნაიპერებიც.

მაიორი მ. ბულკინი

მიზინგი გმირის სამშობლო სოფელში

(სამტრედია, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფელ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში შესდგა მიტინგი, მიძღვნილი ამს. გიორგი დავითის-ძე შენგელიასადმი საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებისადმი. მიტინგი გახსნა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დუნდუამ.

გმირის საბრძოლო ცხოვრების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. ნიშნიანიძე. სიტყვები წარმოსთქვეს კოლმეურნეობის გმირგადარმა შ. ჯიბლაძემ, ცომიაიამ და გმირის დედამ კოლმეურნე კატო შენგელიამ. თანასოფელელებმა კოლექტიური წერილი გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. გიორგი დავითის-ძე შენგელიას.

ბ. სიხარულიძე

ახალგაზრდული საგრაქტორო ბრიგადებისა და ახალგაზრდა ტრაქტორისტების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ალტაისა და სტავროპოლის მხარეების, მოსკოვის, ტულის, კალინინისა და ვოროშილოვგრადის ოლქების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ახალგაზრდებმა წინადადება წამოაყენეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ახალგაზრდობის ეს ინიციატივა მოიწონეს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა. უკვე დამტკიცებულია შეჯიბრების პირობები. ამ პირობების თანახმად შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მტს-ების ყველა ახალგაზრდულ სატრაქტორო ბრიგადასა და ახალგაზრდა ტრაქტორისტს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ბრიგადები, რომლებიც თავის დროზე შეასრულებენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს, აოშვის, ბოსალელის აღების, საშემოდგომო თესვის, ბზრალად ხვნის გეგმებს, ყველაზე მეტ გამომუშავებას მიაღწევენ თვითეულ ტრაქტორზე, მაღალხარისხოვნად, აგროტექნიკის წესების დაცვით შეასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და ვიოწევენ უხვ მოსავალს, ამასთან მოუვლიან მანქანებს სრული ტექნიკური პირობების დაცვით, სარემუნო წესრიგზე იქონიებენ მისაბმელ იწენტარს, მიაღწევენ საწავაგის მომჭირნეობას სულ მცირე 10 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: 5 პირველი პრემია — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო 15 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული, 20 მეორე პრემია—საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო 10 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული, 30 მესამე პრემია—ფულადი ჯილდო 5 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული.

გამარჯვებული ბრიგადების ხელმძღვანელები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნიშნით—„სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული", „მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის წარჩინებული ბრიგადირი" და აგრეთვე სახელწარწერილი საათებით.

საუკეთესო ტრაქტორისტებისათვის დაწესებულია ჯილდოები სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნიშანი—„სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული", „მტს-ის საუკეთესო ტრაქტორისტი" და ძვირფასი საჩუქრები.

მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც კარგად მოაწყობენ შეჯიბრებას, ამასთან მიაღწევენ ყველა ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადის მიერ გეგმების შესრულებას, დაჯილდოებული იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელითა და ძვირფასი საჩუქრებით. ჯილდოები დაწესებულია აგრეთვე კომკავშირის სამხარეო, რესპუბლიკური, საოლქო კომიტეტების, მათი მდივნებისა და გლეხი ახალგაზრდობის განყოფილების გამგეებისათვის, საოლქო სახხარეო მიწათმოქმედების განყოფილებათა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მუშაკებისათვის, კომკავშირის რაიკომების მდივნების, რაიმიწგანის გამგეების, მტს-ების დირექტორებისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა განიხილეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის საკითხი და მიიღეს ერთობლივი დადგენილება. წინადადება მიეცათ კომკავშირის საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს, ავტაზეთისა და აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო მიწათმოქმედების განყოფილებას, რაიმიწგანის გამგეებს ფარეთად განუმარტონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ახალგაზრდობას საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობები, მიაღწიონ ყველა ახალგაზრდულ სატრაქტორო ბრიგადის, ახალგაზრდა ტრაქტორისტის ჩაბმას შეჯიბრებაში, ყოველდღიური ხელმძღვანელობა-დახმარება გაუწიონ მათ, ვიოაწყონ მოწინავე ბრიგადებისა და ტრაქტორისტების გამოცდილების დანერგვა.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს დაევალათ სადგურების ფართობებსა და სატრაქტორო ბრიგადებში—მინდვრად მოაწყონ შეჯიბრების მიმდინარეობის საჩვენებელი დაფები.

კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა და რაიმიწგანგებმა 10 დღეში ერთხელ უნდა შეაჯამონ შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგები, გააკონონ იგი სატრაქტორო ბრიგადებსა და ტრაქტორისტებს.

სნაიპერი ალექსანდრა თევდორეს-ასული კასატკინა, რომელმაც 33 ჰიტლერელი გაანადგურა. იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, დიდების მე-3 ხარისხის ორდენებით და მედლით „მამაცობისათვის".

ფოტო ე. პოდშივალოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე ამწყობი ა. ფ. შიროვაძოვა (მარჯვენივ) ამოწმებს მხესავი ტ. ა. გორიუშევას პროდუქციას, რომელიც ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. ზუნინისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲒᲘᲒᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ-ᲫᲔ

საბჭოთა ზურგის სიმტკიცე, ხალხის დახმარება ფრონტისადმი აღფოთოვანებს წითელი არმიის მამაც მებრძოლებსა და მეთაურებს. ამ სიხარულს ისინი გამოხატავენ ფრონტიდან გამოგზავნილ მრავალრიცხოვან წერილებში.

— ძალა და ხალისი გვემატება,—გვწერს მედიცინის სამსახურის კაპიტანი მედალოსანი ლ. ელიზბარაშვილი,—როდესაც გაზეთებში კვითხულობთ საქართველოდან სოციალისტური შრომის გმირების შ. კოხრეიძის, ნ. გელაძის, გ. კიკნაძისა და ა. წიკლაურის სახელებს, რომლებიც არ ზოგავენ თავიანთ ენერგიას ფრონტისათვის ტვირთზიდვის დაჩქარების საქმეში.

აღფოთოვანებით კვითხულობთ, თუ როგორ ეხმარებიან საქართველოს მშრომელები ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ხალხებს, და კიდევ უფრო სწრაფად მივიწევთ წინ მტრის სრული განადგურებისათვის. მივდივართ წინ, და ჩვენს თვალწინ იშლება გერმანელი ფაშისტების მიერ დანგრეული და გადამწვარი ლამაზი უკრაინის ქალაქები და სოფლები. ჩვენ გვიხარია, რომ საქართველოს „შვრომელები არაფერს ზოგავენ" და ეხმარებიან მოძმე მშრომელ უკრაინელებს. უგზავნიან მსხვილფეხა საქონელს, მარცვლეულს და სხვა საჩუქრებს. ამ სასიხარულო ამბის გამო ჩვენ, ფრონტზე მყოფთ, ძალა გვემატება და უფრო მედგრად ვუტევთ საზიზღარ მტერს.

ქართველ მეომართა დაავალებით მოქმედი არმიიდან წითელარმიელი კუცია, უმცროსი ლეიტენანტი ზაუტაშვილი, წითელარმიელი ტუაშვილი, უფროსი ლეიტენანტი სოფრომაძე, კაპიტანი ნოდია, უფროსი ლეიტენანტი ბეგაშვილი, სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი მარდალეიშვილი, წითელარმიელი ჯინჯიხაძე, წითელარმიელი კინწურაშვილი და უფროსი სერჟანტი დაუშვილი წერილში „საბჭოთა საქართველოს შრომელებს" შემდეგს იწერებიან:

—საბჭოთა საქართველოს შვილები ფრონტის ჩვენს უბანზე გმირულად ებრძვიან გერმანელ ფაშისტებს. ისინი გამსჭვალულნი არიან ერთი გრძნობით: რაც შეიძლება მალე გაანადგურონ ფაშისტთა ურდო, რომელიც შემოიჭრა ჩვენს სამშობლოში საბჭოთა ხალხების დასამონებლად. მტრის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში საბჭოთა ზურგის ყოველმხრივი დახმარება ჩვენს უდიდეს სიხარულს იწვევს. საქართველოს მშრომელები, გარდა იმისა, რომ გვაწვდიან მაღალხარისხოვან საკვებელს, და საომარ მასალას, გვამარაგებენ პროდუქტებითაც. საბჭოთა ზურგის ასეთი მზრუნველობით აღფრთოვანებულნი, სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულნი, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გენიალური ზედამხედველობით ქართველი მებრძოლები ყველაფერს გავაკეთებთ ფაშისტთა განადგურებისათვის.

საქართველოს [illegible] ფრონტზე [illegible] კიდევ უფრ[illegible] ბოებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, ფრონტის დასახმარებლად. ამით დაჩქარდება გამხეცებული მტრის საშოლოო განადგურების ჟამი.

სამამულო ომის ფრონტებზე მყოფი ქართველი მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც ერთი აზრით არიან გამსჭვალულნი—რაც შეიძლება მალე განდევნონ მტერი საბჭოთა მიწა-წყლიდან—ამხანაგ სტალინისათვის მიაციმეს ფიცს ღირსეულად ასრულებენ. სამშობლოს დამცველებისაგან მიღებულ ბრძავალ წერილში მოთხრობილია ქართველ მეომართა სახელოვანი ბრძოლის ეპიზოდები.

უფროსი ლეიტენანტი მიხეილ ისიდორეს-ძე ბედნიაშვილი, პარტიული შ. ხუფოსტარია, წითელარმიელი ა. ცაკაშვილი, გვარდიის წითელარმიელი გიორგი გიორგის-ძე აბესაძე, გვარდის უმცროსი სერჟანტი ნ. სვირიდოვიჩი, უფროსი ლეიტენანტი ვალერიან ბიბლაია, კაპიტანი ი. ციცქიშვილი, წითელარმიელი აკაკი ბოკერია, წითელფლოტელი ბ. შავლაძე, მეომარი ანტონ ნებიერიძე, უფროსი ლეიტენანტი შოთა პორფილეს-ძე ქვილორია და სხვა მეომრები მოგვითხრობენ იმ გაბედილი სახელოვანი ბრძოლების შესახებ, რაც მათ გადახდათ, და როგორ მამაცურად იბრძვიან მათთან მყოფი, საქართველოდან წასული მეომრები.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, რომლებიც ბეჯითად ეუფლებიან თანამედროვე რთულ საბჭოური ტექნიკას, მოუთმენლად ელიან იმ სანატრელ დღეს, როდესაც თავიანთ ძმებთან და ამხანაგებთან ერთად შეასრულებენ საყვარელი სამშობლოს დავალებას—ულტიმატუმ ვერაგი „მტერი. რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილებში ნ უმაღლესი ტექნიკური სკოლის კურსანტები დ. გორგილაძე, ე. ჩუბინიძე, ი. ჟღენტი, გ. ქებუთაძე, გ. კოკვიძე, დ. კაკაურიძე, ერთ-ერთი წითელდროშოვანი სასწავლებლიდან უფროსი ლეიტენანტი ავ. ხუციშვილი, ნ სატანკო სასწავლებლის მსმენელი გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი შ. თოდრია და ვასილ ტრიფონის-ძე გაჩეჩილაძე გვწერენ:

— წითელი არმიის საუზეფრო სასწავლებლებში სხვა მოძმე ხალხის შვილებთან ერთად მრავალი ქართველი სწავლობს. ჩვენ ხარბად ვეწაფებით ჩვენი საბჭოთა მრისხანე იარაღის შესწავლას და ვალდებულებას ვკისრულობთ ვისწავლოთ მხოლოდ ფრაზეზე, დავეუფლოთ საბჭოთა, საბრძოლო ტექნიკას და მისი საშუალებით ვანადგურებთ მტერი ისე, როგორც მათ ანადგურებენ ჩვენი სახელოვანი გვარდიელები. მტერს შეუბვდებით მომზადებულნი და დავაჩქარებთ მის საბოლოო განადგურებას.

მ. საკარული

ᲐᲛ ᲙᲐᲖᲐᲠᲐ ᲛᲗᲐᲖᲔᲚᲐᲒ...

ალიო ადამია

ჩანს აქედან—

კავკასიონი დავერცხლილი მწვერვალებითა და ჩალამებული ხევებით, მთებიც აჭარა-ახალციხისა, მარტვილიც — სამეგრელოს უძველესი ქამთალმრიცხველი, მშვიდი შავი ზღვა, უფრო სალამოუამზე, როცა მზის სხივი შინდისფერად ღებავენ ტალღებს, ან როცა ღელავს მზიან დილაობიაც და ყალყზე ცხრაკეცად შემდგარი ტალღა ნაპირს ასკდება თავგანწირულად.

გემებიც ჩანან—აღნარკიას როს გაივლიან. ეს ადგილი ეკის მთა ირის.

ამ პატარა მთასაც, რომელიც ზღვის დონედან სულ ოთხასი მეტრითაა ამაღლებული, აქვს თავისი მწვერვალი—გადასახედი.

მის გარშემო დაფენილია ტეხტრის, რიონისა და ხობის წყლის ჭალები, ბაიასფერს რომ გადაიკრავენ ადრე გამოზაფხულზე.

აქ, ამ მთაზე, აგარაკის გაშენებას ეწყოფდა ნიკო ნიკოლაძე.

ოგი მრავალგზის ამოსულა სოფელ ეკში, მთის ძირში ამომავალ პატარა წყალო-მდინარე ჩხარის ნაწილს ითხოვდა მთაზე ასაყვანად, მაგრამ უარი უთხრეს, რადგან ეს პატარა მდინარე ცხრა წისქვილს ატრიალებდა ჯარასავით. ქართს წისქვილი შესთავაზა ნიკოლაძემ, იუარეს—ქარი ხან დაიქროლებს, ხან არა, მის ნება-სურვილზე ვერ ვივლითო. სხვა არავინ შეეშველა, და ამ საქმეში ხელოვნური დარჩა.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ.

მთის ფერდობზე შეფენილი სოფელი ზეგანზე გადასახლდა.

• • •

ფრონტის ხაზი შორს იყო სოფელ ეკიდან ომ დროსაც კი, როცა ტამანის ნახევარკუნძული მტერს ეკავა, მაგრამ ეკელებმა შეუმცდარად იცოდნენ ომის როგორი დღე იყო—ცხარე თუ მშვიდი; აქ განუწყვეტლივ ისმოდა ქვემეხებისაგან ამტყდარი შეხლისტეხა,—ეს ჩვენი შავზღველები—კრეისერები და ხომალდები ებრძოდნენ გერმანელთა წყალქვეშა ნავებსა და თვითმფრინავებს. ვრავალჯერ შეასწრეს თვალი ეკელებმა—შავ ზღვაში ოიგ-ოიგად როგორ ეშვებოდნენ მტრის ხანძრადქცეული თვითმფრინავები.

მათ იციან—იმ შემტევ ნაწილებში ვრავლად არიან ამ სოფლიდან წასული ჭაბუკები. და სულ პატარა, ცქრიალა გოგონა, რომელსაც სადილი ამოუტანია მთაში ეწყემსებისათვის, ხის ჩრდილში მიმჯდარა და ამ ჭაბუკების ვაჟკაცობაზე ალფერებს ჩონგურს—„ულზე რომ ხმალი არტყიაო, ჟუა სჭრის პირისაგანო".

• • •

ფართობის მხრივ უდიდესია კოლმეურნეობა „რუსთაველი". მისი სახნავ-სათესი, საძოვრები, ვენახები და ბალჩა-ბაღები ცხრაას ჰექტარზეა გაშლილი.

„რუსთაველში" თანაბრად ხარობს ჩაი და ტუნგო, ვენახი, ლიმონი და ვანდარინი, ბოსტნეულიც სამავალითო იცის აქ. ახლოსაა შავი ზღვა, ასევე ახლოა რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთებიც. ამის გამო ადვილად ხარობს აქ ზღვის თბილ ჰავას მოწყურებული ნარინჯები და უფრო მაღლობს შეჩვეული ვენახიც.

— ეს კულტურები გამოცდილ მუშა-ხელს საჭიროებენ.

ირის კიდევაც—ჩაის კრეფაში სახელგანთქმული არიან ოლგა ცხვიტავა და მარო ნიჭუა, ზინა ბართია და პაშა ადამია, ორმოცი წლის ედუ გუნია, იგი ორმოცდაათ კილოგრამს ჭკრეფს ყოველდღიურად და ისიც უსათუოდ პირველი ხარისხისას.

სიმინდისათვის განკუთვნილ ორასორმოცი ჰექტარსაც ჰყავს თავისი მზრუნველი და მთესველი, ფუტკარს მოყურადე, ტუნგოსა და ნარინჯებს მყნობელი, საქონელს მწყემსი, ვენახისათვის კი ცალკე არის ბრიგადა გამოყოფილი.

ასე დიდია კოლმეურნეობა „რუსთაველი".

კოლმეურნეებმა მრავლად გაგზავნეს საჩუქრები ფრონტელებისათვის—ხორცი, ღვინო, ყველი და ხმელი ხილი. ფრონტელთა ოჯახებს ზრუნვას არ აკლებენ. წელს ასოცდასამი ფრონტელის საკარმიდამო ნაკვეთი შემოლობეს, დახნეს და დათესეს, სამარგალში შველიან ახლა, ახალი სახლები დაუდგეს ექვს ოჯახს, მრავალს შეუკეთეს; ყველს, თაფლსა და რძეს აძლევენ ფრონტელთა შვილებს.

ორასოცდაათი კომლია კოლმეურნეობა „რუსთაველში", ორასოცდაათი ოჯახი ერთ ფიქრსა ფიქრობს: იმუშაონ ხელებდაკაპიწებით, კიდევ უფრო გაადიდონ სათესი ფართობი, ჩაი და ვენახი, ტუნგო და ნარინჯი, ამრავლონ ძროხები და ხარები, მეტი დახმარება გაუწიონ ფრონტს, თავი ისახელონ სამშობლოს წინაშე;

— გაისად ჭალა-ადგილები ტრაქტორებით უნდა დავხნათ, მაშინ კოლმეურნეობის ასი უღელი ხარი თავისუფლად შესძლებს ყველა დობერა ადგილისა და მთის ფერდობების მოხვნა-დათესვას. ამით ორმაგად გადიდდება სიმინდის მოსავალი კოლმეურნეობაში—ასე აქვს გადაწყვეტილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აკაკი ადამიას.

ამჟამად სოფლის განაპირას არის მოთავსებული კოლმეურნეობის გამგეობის შენობა. ადგილი უკვე შერჩეულია სოფლის შუაგულში და გადაწყვეტილია წელსვე აგარნ ფიდი სახლი. ამ შენობაში მოთავსდება კოლმეურნეობის გამგეობა, სამკითხველო და კლუბი.

• • •

მე ისევ ეკის მთაზე ვარ, გადასახედთან.

აქვე ახლოს ოსტატები უკვე სახურავზე მოეკრნენ დიდ შენობას. კოლმეურნეობა „რუსთაველის" თხა-ძროხა გამოიზაფხულებს აქ. ეტყობა, მწყემსები ვერ დაელოდნენ ოსტატებს და თხილის წკნელისაგან თვითონ იღობავენ მეგრულ ფაცხას წვიმიანში თავის შესაფარებლად.

ხელისგულიგით ჩანს კოლმეურნეობა „რუსთაველი":

კარი ამინდი დადგა ბანგრძლივი წვიმის შემდეგ, მდინარე ცივი უკვე ჩამდგარა კალაპოტში, მზის ვეხუნვარებისაგან დედამიწას ნისლისფერი ორთქლი ასდის, მთელი სოფელი გამოსულა სამუშაოდ:

ჭრელკაბა ქალები მალიმალ ავსებენ კალათებს ჩაის ფოთლით, ატვირთება სპარგო ავტომანქანა და ურმები—ამათ უშაფთის ფაბრიკაში მიაქვთ ჩაის ფოთოლი.

ჭალაში და ეზოებში მარგლიან სიმინდს, თემმარასა და საცალფეხო ბილიკებზე კანტი-კუნტად გამორნდებიან კალათით მხარზე სწრაფად მიმავალი ბავშვები—ამათ სადილი მიაქვთ უანაში.

ვენახებს უკვე მეორედ ასხურებენ წამალს და შეწამლული ვაზის ფოთლები მუქად, მაგრამ მაინც თვალისმომჭრელად ბზინავენ მზეში.

საშუადღეოზე შემდგარა ივნისის მზე, საქონელმაც მოირეფდილა, მთამაც იცის იდუმალი გაყუჩება წამიერად!

მოვიდა ჩვენი მესადილეც, მან ახალი გაზეთიც მოიტანა თან და ვიდრე ცირა ჩვენს მწვანე მაგიდას შლიდა, ჩვენ გაზეთი გადავიკითხეთ:

უკვე ყოველი მხრიდან უტევენ ურჩხულს, რომი ბიღეს, მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთში გადასხდნენ, ჩვენი დივიზიები შეებრალებულად ელტენ მტერს რუმინეთში, ამსხვრევენ ტანკებს, თვითმფრინავებს ანარცხებენ ზიწაზე.

პატარა ხის ჩრდილში ზის პატარა ცირა და ჩვენი ვაჟკაცების გმირობაზე ლულუნებს ჩონგური:

„ხმალს რომ შემოჭკრავთ ურჯულოს,
შინ მოდის მისი წკრიალი"...

და ხმიანობს სიმღერა ჩვენი გამარჯვების

აჰ პატარა მთაზედაც

ᲡᲜᲐᲘᲞᲔᲠᲗᲐ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ

მოძველი არმია, 6 ივნისი (საკადესის სპეც. კორ.). შესრულდა 6 მსროლელი დივიზიის სნაიპერთა ასეულის არსებობის წლისთავი. ერთი წლის განმავლობაში ასეულის სნაიპერებმა 2.500 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტეს.

ერთ ზღუდეზე გერმანელები უდარდელად იქცეოდნენ — დაეხეტებოდნენ სანგრებში, მზეს ეფიცხებოდნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში უმცროს ლეიტენანტ უშაკოვის ჯგუფმა 29 ჰიტლერელი გაელიტა, ხოლო უმცროს ლეიტენანტ ფაკინის ჯგუფმა—27. სნაიპერებმა გრეკმა, კაჩალოვმა და ესერკეევმა მტრის რამდენიმე ჯარისკაცი მოსპო თვითეულმა. ფაშისტები უფრო გაფრთხილდნენ.

გერმანელების სანგარი ახლოს იყო, ჩვენს პოზიციებთან. ჩვეულებრივად დღისით იქ არავინ იყო. იცოდნენ რა, რომ დღით მოქმედებას დაიწყებს ჩვენი დაზვერვა და შესაძლოა გერმანელები სანგარში დაბრუნდნენ, უმცროსი ლეიტენანტი უშაკოვი, უფროსი სერჟანტი ტებენკოვი მზვერავთათვის გაჭრილი გასასვლელებით მავთულს იქით გავიდნენ. ისინი შეინიღბნენ 150 მეტრზე მტრის სანგრიდან და განთიადს ელოდნენ. ამასობაში მზვერავებმა კვამლის საფარი აუშვეს. გერმანელები დაფაცურდნენ, დაიკავეს ადგილები სანგარში ჩვენი სნაიპერების მახლობლად და თავს ჰყოფდნენ ხოლმე მიწაყრილიდან, რათა

„бесчувственный герой" დ. გაჩეჩილაძემ „რაინდად" აქცია, ასევე მოიქცა მე-7 ტაპის თარგმნის დროს:

Молчишь — и **ум твой безнадежней,**
Когда полнее твой бокал...

ქართულად ასეა გადმოცემული:

სდუმხარ და უფრო **ხარ მოლუშული,**
როცა სასმისი უფრო სავსეა...

მკითხველი ადვილად მიხვდება, **რომ** თარგმანი ამახინჯებს დედაზს.

„მომაკვდავი გლადიატორიც" დ. გაჩეჩილაძემ სთარგმნა. ლექსი თანაბარი სიძლიერით არ არის თარგმნილი. არის კარგი ადგილებიც და სუსტიც. მაგალითად, სტრიქონები:

Напрасно—жалкий раб,—он **пал,**
как зверь лесной,
Бесчувственной толпы минутною
забавой...

მთარგმნელს ასე აქვს გადმოცემული:

საბრალო მონა, ტყის მხეცივით
მოკლული მიწვა,
რომ წუთს გაერთო ბრბო უგულო...

ლერმონტოვი მოგვითხრობს—საბრალო მონა დაეცა როგორც ტყის მხეცი, მთარგმნელი კი არმილებს—იგი მიწვა.

მ. პატარიძემ ლექსში „როცა დავშორდი შორეულ საზღვრებს" (გვ. 24) მე-5 ტაპი.

Молю, чтоб буря не застала.
Гремя в наряде боевом,
В ущелье мрачного Дарьяла
Меня с измученным конем

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

მ. ი. ლერმონტოვის ლექსებისა და პოემების ქართული თარგმანები

რუს კლასიკოს პოეტთაგან მ. ი. ლერმონტოვი ისეთივე სიყვარულით სარგებლობს ჩვენში, როგორც პუშკინი. ამიტომ ვფასაგებია ის ინტერესი, რომლითაც ქართველი მკითხველი ხვდება მ. ი. ლერმონტოვის ლექსებისა და პოემების ქართულ თარგმანს, რომელიც საბლიტგამმა ამასწინად გამოსცა.

ამ წიგნის გამოცემა ნაწილობრივ მაინც ავსებს ქართულ ენაზე ლერმონტოვის ნაწარმოებთა უქონლობის ხარვეზს. თარგმანები შესრულებულია ძირითადად დ. გაჩეჩილაძის, მ. პატარიძის და კ. ნადირაძის მიერ. ორი ლექსი და ერთი პოემა („დემონი") სთარგმნა კ. ჭიჭინაძემ, ერთი ლექსი ვ. გორგაძემ და პოემა „ლტოლვილი"—ა. სიჭინავამ.

სანამ თარგმანს განვიხილავდეთ, უნდა აღენიშნოთ, რომ მ. ლერმონტოვის ლექსები და პოემები ძნელი სათარგმნია. დიდი რუსი პოეტის ლექსწყობა, მხატვრული სახეები, სტილი თავისებურია. მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება მთარგმნელს, რომელმაც უნდა შესძლოს და ქართველ მკითხველს გადასცეს არა მარტო შინაარსი ლერმონტოვის ნაწარმოებისა, არამედ ამ ნაწარმოების ფორმის, პოეტური ხერხების თავისებურებაც. სარეცენზიო წიგნში მოთავსებული თარგმანები ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. მთელი რიგი თარგმანები პირდაპირ უზადოა, მაგრამ დადებით მხარეებთან ერთად წიგნს აქვს დეფექტებიც. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი.

ლექსში „მე ბაირონი არა ვარ" (გვ. 9, მთარგმნელი მ. პატარიძე) ლერმონტოვს აქვს ასეთი სტრიქონები:

Я раньше начал, кончу рано,
Мой **ум немного совершит;**

მთარგმნელი ამ სტრიქონებს ასე გადმოგვცემს:

ადრე დავიწყე, მოვრჩები ადრე,
ჩემს **გონებაზე ცოტა რამ ითქმის.**

როგორც ვხედავთ, მეორე სტრიქონებს საერთო არაფერი აქვთ.

ლერმონტოვის ცნობილი ლექსი „იალქანი" (გვ. 11) სთარგმნა კ. ნადირაძემ. მეორე ტაეპს:

Играют волны, ветер свищет,
И мачта гнется и скрипит;
Увы! — он счастия не ищет
И не от счастия бежит! —

კ. ნადირაძე ქართულად ასე თარგმნის;

თამაშობს ტალღა, უბერავს ქარი,
ტეხავს ანძა, ბოლავს ბორბალი,
ეძებს ბედნიერებას ... ,
ეძებს ... ,
ბედნიერ ... ,
ბედნიერ ... .

ეს ... ,
ეს ... ,
ეს ... .

... ,
... ,
... .

... ,
... ,
... .

... ,
... ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტსა და ქვეყანას მეტი ქვანახშირი!

შეჯამებულია საქართველოს ქვანახშირის რაიონების — ტყიბულისა და ტყვარჩელის მუშახტეთა შეჯიბრების მაისის შედეგები. მაისში შეჯიბრება ხასიათდებოდა ახალი სწარმოო აღმავლობით როგორც ტყიბულში, ისე ტყვარჩელში.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა (მმართველი ამხ. დათუაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ჩაგუნავა, სტალინის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანი ამხ. ცაავა, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა რაიკომის თავმჯდომარე ამხ. ლეშჩენკო) და **ტყიბულქვანახშირის** ტრესტმა (მმართველი ამხ. ვარდიშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ჯვებენავა, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა რაიკომის თავმჯდომარე ამხ. ოფრომაძე) ქვანახშირის მოპოვების მაისის დავალება თანაბარი წარმატებით — 100,1 პროცენტით გაანაღდა თვითეულმა. ორივე ტრესტმა მაისში გადაჭარბებით შეასრულა მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა. ტყვარჩელელებმა მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა 100,2 პროცენტით, ხოლო ტყიბულელებმა — 100,5 პროცენტით შეასრულეს.

მაისში მუშაობის ძირითადი ნაკლოვანება იყო ქვანახშირის მოპოვების სადღეღამისო მაჩვენებელთა არათანაბრობა. მაისის 18-19 ღამის განმავლობაში ტრესტები ვერ ასრულებდნენ გეგმებს და მხოლოდ თვის მიწურულს „დაძაბეს“ ძალები, რათა გეგმა შეესრულებინათ. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ველა უბანმა და ყველა შახტმა დავალება ვერ შეასრულა.

საუკეთესოდ მუშაობდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტი (უფროსი ამხ. კვინიხიძე), რომელმაც ქვანახშირის მოპოვების მაისის გეგმა 113,8 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩა გელათის შახტი და სხვა შახტების ზოგიერთი უბანი.

ივნისის პირველი დღეების გამოცდილება გარწმუნებს, რომ მუშაობაში არათანაბრობას ალავ აღვს ადგილი ტყიბულსა და ტყვარჩელში. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა აღმოსფორდეს. მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ტრესტებმა წარმატებით შეასრულონ ქვანახშირის მოპოვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება.

ჯილდო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის

1943 წელს საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ხორცისა და რძის პროდუქტებით წითელი არმიის კარგად მომამზადებისათვის „სსრ კავშირის ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავის“ ნიშნით დაჯილდოებულნი არიან საქართველოს ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის შემდეგი მუშაკები:

სერგი ონისიმეს-ძე აბაიშვილი (ლოტუმი), ალექსანდრა ივანეს-ასული ბახჩიევა (თბილისი), პეტრე გაბრიელის-ძე ბელენკო (ბეშენი), ივანე ალექსის-ძე ჯოლოვინი (სამტალა), ეკატერინე არსენის-ასული გუკასოვა (თბილისი), მიხეილ ივანეს-ძე გალუშინი (ახალციხე), ალექსი იაკობის-ძე ლენინი (თბილისი), ლუბა ვასილის-ასული კოზლოვსკაია (ბათუმი), ამბერკი ათანასეს-ძე ნიშნიანიძე (სამტრედია), გიორგი დავითის-ძე ფეიქოშვილი (დუშეთი), ფილიპე მიხეილის-ძე ფალასოვი (ბეშტაშენი), შლეიმ დავითის-ძე ფეიქოდრეკი (თბილისი), ეკატერინე იასონის-ასული სიორიძე (თბილისი), ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ფაშინი (თბილისი) და ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ხატიაშვილი (თბილისი).

ამ ბრძოლების სიგელით დაჯილდოებულია ამავე ინსპექტორატის სისტემის 38 მუშაკი.

მრეწველობის ახალი ამბები

⊙ **ელექტროშუქი სოფელს.** საქართველოს ერთ-ერთ ქალის საწარმოსთან ამუშავებულმა ჰიდროელექტროსადგურმა მისცა ელექტროშუქი ოთხ-ოთხ სოფლებს—საბუეს, ენსიელს და ...ბატს.

⊙ **ქაღალდი ასკანის თიხისაგან.** მინერალური სასუქის ინსტიტუტის ფიზიკურ ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი ა. კაკაბაძე) ექსპერიმენტებით დაამტკიცეს ცდები ასკანის თიხა—ასკანგელისაგან მაგარი, შესახვევი ქაღალდის მისაღებად. ამავ ამავ ამ ამავ ... ამავ თიხისაგან საფერი და საბეჭდი ქაღალდის მისაღებად.

ბრეზენტი, ლიმონი, მანდარინი...

ფოთის რაიონი, საბჭოთა მეურნეობა „ბრეზენტი“. სურათზე (მარცხნიდან) აგროტექნიკოსი ლ. მურვანიძე თვალყურს ადევნებს სტახანოველ ვ. ზადოროფნაიას მუშაობას; უფროსი აგრონომი ვ. მიქანაძე ხეების გასხვლის დავალებას აძლევს საბჭოთა მეურნეობის სტახანოველებს ა. დიმიტროვს და მ. ტოლსტოვას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ფოთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ფოთის ლ. პ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ბრეზენტი გადაჭიმულია 264 ჰექტარზე, გარდა ამისა, მეურნეობაში გაშენებულია მანდარინი, ლიმონი და სხვა ძვირფასი მცენარეები.

მეურნეობამ კარგი მოვლის შედეგად შარშან სახელმწიფოს 60.000 ცალი ხარისხოვანი ნაყოფი ჩააბარა.

წელს ბრეზენტის მოსავალს კიდევ უფრო კარგი პირი უჩანს. სათანადო მზრუნველობამ უზრუნველჰყო ნაყოფის დიდი რაოდენობით შენარჩუნება. მეურნეობა გეგმით გათვალისწინებული 100.000 ცალის ნაცვლად სახელმწიფოს აბარებს 200.000 ცალ ნაყოფს.

მეურნეობის სპეციალისტები, ვ. მიქანაძე, შ. გურგენიძე და ლ. მურვანიძე მზრუნველობით უვლიან ციტრუსოვანთა ნარგავებს. დროულად და ზუსტად ახორციელებენ აგროწესებს.

მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ხეების შეწამვლა, ხმელი ტოტებისაგან გაწმენდა, სასუქის შეტანა, სადრენაჟო არხების გაყვანა. მოწინავე ადამიანები, მათ შორის ნ. თურმანიძე, ვ. ზადოროფნაია, პ. დუბოვოკოვა, დ. ბუტოვა, ჟ. ორლიკი, ფ. მაკარენკო სამუშაოთა ნორმებს ორმაგად და ზოგჯერ სამმაგად ასრულებენ. მეურნეობა იმისათვის იბრძვის, რომ სახელმწიფოს მისცეს მეტი ბრეზენტი, ლიმონი და მანდარინი...

ვ. გუჯაბიძე

საკოლმეურნეო მინდვრებში

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე კოლმეურნეობებში ბევრგან დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

კორესპონდენტი **შ. მირცხულავა** გვწერს, რომ ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის, ბერიას და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მაისის გეგმები ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულდა. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა ივნისშიც. საშუალო სკოლის მოსწავლე ლურუ ტორჩინავამ ერთ დღეს გეგმით გათვალისწინებული 12 კილოგრამის ნაცვლად 80 კილოგრამი ჩაის ფოთლი მოჰკრიფა. იგივე კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჩაის ფოთლის კრეფას მომზადებული შეხვდნენ და გეგმებს კარგად ასრულებენ სოფელ უშაფათის, გეჯეთის, აგრეთვე ბოელი რიგი სხვა კოლმეურნეობანი, მაგრამ ზოგან ჩამორჩენაც არის. სოფელ ზანის ბერიას და სოფელ პირველი მაისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა ცალკეული ბრიგადების პლანტაციები ბარდ-ეკლით არის დაფარული და ფოთლის კრეფა შეფერხებულია.

როგორც კორესპონდენტი **შ. ცერცვაძე** იტყობინება, ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეფალოსან კ. მერკვილიშვილის ბრიგადამ ვადაზე ადრე დაამთავრა თესვა, ვენახის თოხნა, აკვრა და სხვა სამუშაოები. ბრიგადის წევრები: მოხუცი ნ. მერკვილიშვილი, წითელარმიელთა ცოლები ელ. ბარბაძე, ს. მერკვილიშვილი და ნ. ბარბაძე სამუშაოთა ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობაში მაისის ბოლო რიცხვებიდან დაწყებულია ვენახების შეწამვლა. მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც ი. შალამბერიძე და ბ. გოგლიჩიძე ხელმძღვანელობენ, გეგმები ვადაზე ადრე შეასრულეს.

კარგად მუშაობენ ბორჯომის რაიონის სოფელ ლარების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. კორესპონდენტი **ვლ. გელაშვილი** აღნიშნავს, რომ ნათესების დამუშავების ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ ე. მახსურაძე, დ. დვალიშვილი, ბ. ლომიძე, მ. ჩინჩალაძე. განსაკუთრებით დაწინაურდნენ დ. ჩინჩალაძის, ი. ლომიძის და ნ. ხაჩიძის რგოლები. წარმატებით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება სოფელ ყვიბისის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ყვიბისის კოლმეურნეობის 18 ჰექტარი ბოსტანი მერგოლურების თ. გელაშვილის, პ. ტალახაძის, ნ. ბეთიაშვილის და ნ. გელაშვილის ხელმძღვანელობით კარგად არის მოვლილი. ბოსტანს სანიმუშოდ უელიან აგრეთვე წაღვერის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში. ჰაგრამ ეს წარმატება ბევრად მეტი იქნება, ყველგან რომ მონდომებით შრომობდნენ. სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობის წევრები დ. გორცაძე, გ. ბლიადე და ნ. ცურცაგაძე იმვიათად გამოდიან სამუშაოზე. ასევე უმიზეზოდ აცდენენ სამუშაოს სოფელ აიდარრვის კოლმეურნეობაში გ. და ვ. წარიტოვები, აგრეთვე შ. ჯიიევი.

შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ კოლმეურნეობის გამგეობამ სათანადო ზომები უნდა მიიღოს.

მოსავლის აღების წინ

ბოლნისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). წელს კოლმეურნეობებში შარშანდელზე უკეთ მიმდინარეობს მოსავლის აღებისათვის ვზადება. მტს-მა (დირექტორი ამხ. კალანდაძე) ვადაზე უზრუნველჰყო კომბაინებისა და სალეწი მანქანების მაღალხარისხოვნად შეკეთება. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომუნისტებმა ალ. ბეკანაშვილმა და ა. მეხრაბზადემ.

მოსავლის აღებისათვის კარგად ვოემზადა წითელი სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. საკოვი). აგრეთვე სოფელ კაზრეთის კოლმეურნეობა „ოქტომბერი“ (თავმჯდომარე დ. დემურაშვილი). ამ კოლმეურნეობებში მზად აქვთ მოსავლის აღებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და ტრანსპორტი.

ზოგან არის ჩამორჩენა. სოფელ კოლაგირის (თავმჯდომარე ა. ხალილოვი), სოფელ კოჩოლოს (თავმჯდომარე უ. ახმედოვი), სოფელ ზემო კოშაკლისის (თავმჯდომარე უ. ალიევი) და სოფელ მუშევანის კოლმეურნეობებში საქმისადმი გულგრილობის შედეგად ჯერაც არ დაუმთავრებიათ მანქანა-იარაღების რემონტი. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში არ ჩაუტარებიათ ბეღლების შეკეთება და დეზინფექცია, არ შესდგომიან გზების შეკეთებას.

მოსავლის აღების დაწყებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კერძოდ კი რაიმიწგანმა, უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებული ჩამორჩენის სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ალ. სერგია

...

(ნაწყვეტი პოემიდან)

მთებთან ვიდექით კლდეებათ,
ვუცქერდით „ხევის პატარძალს“,
მზე რომ გვირგვინათ ადგება
უნისლოს, ლეჩაქგადამძვრალს.
„ორთავიანი ჭაღარა“
ზვიადად გადმოგვცქეროდა,
ჩვენ მისმა ხილვამ გვახარა,
ყველა ჩვენგანი მღეროდა:
„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.
ჩაუდგნენ მხრებში მთებს მთები
და აიმართნენ კიდლებად.
„ვერ გაითენებს აქ მტერი,
ნაპრალში ჩაეხეთქება“.
დიადი რწმენის ანთებით
ბრძოლას პირისპირ ველოდით.
დავნაღმეთ მთების „კალთები,
გამარჯვებებზე ვმღეროდით!
მოვარდა, მტერი ჯავშნებით
და მთებს ყვირილით მოადგა!
ჩქარა დაგვნებდით,
არა და
სისხლს დავაყენებთ ღვარადა.
შემოძვრენ,
შემოპარენ,
შემოიფარენ
ტყეებით.
აზრადა ქონდათ:
„მთებს შევკრავთ
და სალტეთ შემოვერტყმებით!“
ხეობებს ნისლით ფარავდნენ,
თხრიდნენ, ჯავშნავდნენ
ხვრელებსა,
ჩვენსკენ რომ მათ გზა ჰქონოდათ,
იმ ცხრათავიან გველებსა.
მომხდურებს დავხვდით გულმაგრად:
„ვნახოთ, ვინაა,
რა მოდგმის?!“
ვხედავთ: რომ ერთ ჩვენს მებრძოლზე
იმათი ათი გამოდის...
ცა ქუხდა, ცეცხლი ელავდა.
კორიანტელი დგებოდა,
ვხოცავდით მტერს და მაინც წი-
იწევდა, არა დრკებოდა,
ქედებმა ქედებს გახედეს,
კლდეებს ჩაედგათ გულს რისხვა,
კავკასიონი არასდროს
მტერს ასე არ დაუნისლავს?!
და ხმა მქუხარე გაისმა,
ხმა ვაუკაცური ქართული:
„აქ ყველამ ფრთები აისხას,
ჯავშნებათ შემოსალტული,
ვინც რომ შობილა არწივათ,
ვის გული კლდის აქვს,—მთის
შვილებს,
ვისაც სოკვდილი დასწივის
და მაინც ვერ შეაშინებს“.
ვინ უნდა იყოს ნეტავი
მთებში მჭექავი მძლე ხმისა,
მტრისთვის გზის გადამკეტავი,
ბრძოლისკენ მოწოდებისა?
შეეხმაურენ მთებს მთები:
„ბელადი,—მზისებრ სახისა,
გვიგზავნის აღმზრდელს გმირების
და ძეს ქართველი ხალხისა“.
ბრძოლა გაჩაღდა, რა ბრძოლა,
გამოუთქმელი ენითა,
შეიძრენ მთები არწივთა
ქარიშხლისებურ ფრენითა.
ვერ დაემალენ მათ თვალებს
მხეცები ხვრელში ჩამძვრალნი,
ხოცავდენ, მათგან რჩებოდა
მხოლოდ მტვერი და ნაცარი.
გარბოდენ. განა არწივებს
ქვემძრომნი გაექცეოდნენ?!
გზაში მუსრავდნენ დუშმანებს,
სადაც კი დაეწეოდნენ.

...

სანდრო ეული

...

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). მენჯერში 1944 წლის საკურორტო სეზონი გაიხსნა 10 მაისიდან. სეზონისათვის კურორტი დროულად მოემზადა. ჩატარდა საბაზანო შენობისა და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის კაპიტალური რემონტი. სრულ წესრიგზეა მოყვანილი გინეკოლოგიური ოთახი. შტატი დროზე იქნა დაკომპლექტებული.

კურორტმა დამხმარე მეურნეობა 5 ჰექტარზე მოაწყო. მიმდინარე წელს ბალბოსტანი 2 ჰექტარზე გააშენეს, ხოლო 3 ჰექტარზე დათესილია მარცვლოვანი კულტურები. გარდა ამისა, დამხმარე მეურნეობისათვის იძენენ პირუტყვს.

სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე კურორტის შემდგომ კეთილმოწყობას. ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა კლიენტებისათვის 30 საწოლიანი ბინის მოსაწყობად და ახალი საბაზანო შენობის მშენებლობის დასამთავრებლად (ახალი აბაზანების მშენებლობა დამთავრდება 15 ივლისისათვის). მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდება გათვალისწინებულია 2.908.600 მანეთის რაოდენობით.

კურორტ მენჯერში მუშაობს საქართველოს სანიტარულ-ტექნიკური მშენებლობის რესპუბლიკური კანტორის ბრიგადა ინჟინერ ბასილაიას და ერმაკოვის ხელმძღვანელობით. მათ ადგილობრივი რესურსებით მრავალი საჭირო მოწყობილობა გააკეთეს.

1943 წელს კურორტ მენჯერის აბაზანებში 3.230 კაცი გატარდა, 32.300 პროცედურით. მიმდინარე წელს კურორტი მომსახურებას გაუწევს როგორც მშრომელ მოსახლეობას, ისე წითელი არმიის გმირ მეომრებს, რომლებიც შვებულებაში იმყოფებიან.

ხ. კუბავა

...

...

...

დოც. ირ. მიქელაძე

წარმოების ნაკადური მეთოდი

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ... ომანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მოითხოვს სამრეწველო პროდუქციის მაქსიმალურ გადიდებას, ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას შინაგანი რესურსების მობილიზაციის უსაზღვრო შესაძლებლობა გააჩნია. მათი მთლიანად გამოყენებისა-ვის საჭიროა წარმოების ორგანიზაციის ახალ-ა გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვა, ახალი სრულყოფილი ტექნიკის ყოველ-ვე ათვისება.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა წარმოების ნაკადური მეთოდის დანერგვას მრეწველობის სხვადასხვა დარგებში.

რა არის წარმოების უწყვეტი ნაკადი?

ეს არის წარმოების ორგანიზაციის ისეთი ... გაუმჯობესებული მეთოდი, როდესაც ნაკადებათა დამზადება, დაწყებული ნედლეულის მიღებიდან და გათავებული მზა ნაწარმის გამოშვებით, ტექნოლოგიური პროცესის ... ერთიმანეთისგან დამოკიდებულ ... ერთ-ერთ ... ...

დეკეფეზები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის კომუნიკე

ლონდონი, 10 ივნისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის კომუნიკეში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„ამერიკის ჯარებმა დაიკავეს იზნინი. ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, მტრული ძალების გადასხმა და მასალების გადატვირთვა არ შეწყვეტილა. ინგლისისა და კანადის ქვეითი და სატანკო ჯარები, რომელნიც მტრის გაფთრებულ იერიშებს იგერიებდნენ 9 ივნისის დილის განმავლობაში, მტკიცედ იდგნენ კანის რაიონში. ჩვენი ჯარები შეხვდნენ მტრის დიდ ძალებს კონდე სურ სელის ახლოს. სხვა სექტორებში განუწყვეტელი ბრძოლები გრძელდება.

არახელსაყრელი ამინდის გამო გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენი ავიაციის აქტივობა იმით განისაზღვრა, რომ იგი ბრძოლების რაიონს პატრულობდა და ხელს უშლიდა მოწინააღმდეგის ავიაციის მოქმედებას. მტრის საესკადრო ნაღმოსანზე, რომელიც მოკავშირეთა წყალზედა ძალების მოქმედების შედეგად იძულებული გახდა ნაპირზე გარიყულიყო ბაცის ახლოს (ბრესტის ნახევარკუნძულზე), იერიში მიიტანეს ჰაერიდან, და მისგან ამოლებული ჩონჩხიდა დარჩა. მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს ბრესტიდან 20 მილზე თვითმფრინავებმა, რომელნიც ლა-პანშის დასავლეთ ნაწილს პატრულობდნენ.

9 ივნისს ღამით მძიმე ბომბდამშენი ავიაციის დიდი ძალები თავს დაესხნენ მტრის აეროდრომებს ფლერში, რენში, ლავალსა და ლე-მანსში (ჩრდილო-დასავლეთი საფრანგეთი) და რკინიგზის კვანძს ეტაპპში (პარიზის სამხრეთით). რვა ბომბდამშენი თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა. მსუბუქი ბომბდამშენები მოქმედებდნენ მტრის კომუნიკაციების წინააღმდეგ ბრძოლების ზონის ფარგლებს გარეთ. ამინდის პირობები ყველავ არახელსაყრელი იყო. ღამის ავიაგამანადგურებლებმა მტრის ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდეს დესანტების ადგილების თავზე. სანაპირო თავდაცვის ავიაცია წყალზედა სამხედრო-საზღვაო ძალებთან თანამოქმედებას ეწევა ენერგიულ შეტევაში იმ წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ, რომლებიც აპირებენ იერიში მოიტანონ ბრძოლების რაიონთან ჩვენი კომუნიკაციების ხაზებზე“.

ამერიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელთა ჩასვლა ლონდონში

ლონდონი, 9 ივნისი (საკადესი). რეიტერის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: როზველტმა გამოაცხადა, რომ ლონდონს ჩავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები — გენერალი მარშალი, ადმირალი კინგი და გენერალი არნოლდი.

ბაიეს მოსახლეობა უსწორდება გამცემთ

ლონდონი, 10 ივნისი (საკადესი). სამხედრო კორესპონდენტები, რომელნიც მოკავშირეთა ჯარების მიერ დაკავებულ საფრანგეთის ქალაქ ბაიეში იყვნენ, აცნერენ, თუ როგორ უსწორდება ბაიეს მოსახლეობა გამცემთ.

„ბაიეს მთავარ ქუჩაზე თავმოყრილმა ხალხმა თავისი გააფთრება მიმართა გამცემთა წინააღმდეგ, რომელნიც გერმანიასთან „თანამშრომლობდნენ“, — სწერს ერთ-ერთი კორესპონდენტი. — გააფთრებულმა ხალხმა შეიპყრო ერთ-ერთი გამცემი. იგი შიშით კანკალებს. შაშხანით შეიარაღებული ახალგაზრდა ფრანგი პატრიოტი ცდილობს დაიფაროს იგი ხალხის გააფთრებისაგან. მაგრამ ხალხი კვლავ თავს ესხმის მას. ცოტა ხნით ადრე ხალხს ლავალის პოლიციელი შეუპყრია და სცემს მას.

ოთხი წლის განმავლობაში დაფროვებული შეუკავებელი სიძულვილის აზვირთება, სიძულვილისა ჰიტლერული გერმანიის და მისი „თანამშრომლებისადმი“, ყველა სხვა ტრძონებს სჭირობს. სიძულვილი გერმანელებისადმი მეტად დიდია. ამჟამად მოსახლეობა ჯერ კიდევ ერთობ აღგზნებულია თავისი განთავისუფლებით, რომ ადვილასწაულს ეს განთავისუფლება; მისი მთავარი საფიქრებელია — „გაუსწორდეს მტერს“.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ბერლინს

ლონდონი, 10 ივნისი (საკადესი). ლონდონში გამოცხადდა, რომ ინგლისის ბომბდამშენები 9 ივნისს ღამით თავს დაესხნენ ტერმანიას და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. „მოსკიტო“ თვითმფრინავების შენაერთმა დაბომბა ბერლინი.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 10 ივნისი (საკადესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მეხუთე არმია გასაგრძობს გერმანელთა მეთოთხმეტე არმიის დევნას. დაკავებულია ქალაქები ვიტერბო, ტუსკანია (ვიტერბოს დასავლეთით) და ტარკვინია (ჩივიტა-ვეკიას ჩრდილოეთით).

ინგლისის მერვე არმიის ჯარები ბრძოლებს ეწევიან მოწინააღმდეგის არიერგარდებთან ტიბრის ტიბრის აღმოსავლეთით, აღებულია მორიკონე (რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და არსოლი (რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ადრიატიკის სექტორში მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე პუნქტში გადალახეს მდინარე ფორო. დაკავებულია გუარდიაგრელე და ორსონნა.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა დაბომბეს მიუნხენის რაიონი, იგრეთვე მოწინააღმდეგის ობიექტები იტალიაში.

იტალიის ახალი მთავრობის შექმნა

ლონდონი, 9 ივნისი (საკადესი). რეიტერის წევრთა შორის არის 7 უპორტფელო მინისტრი. მათ შორის გრაფი სფორცა, პროფესორი ბენედეტო ક્રોચે და კომუნისტების ლიდერი ტოლიატი (ერკოლი).

ბონომი დაიბადა 1873 წელს. 1921-22 წლს პრემიერ-მინისტრი იყო. გამოსცემდა გაზეთ „ილ მონდოს“, რომელიც დაიხურა ხელისუფლების სათავეში მუსოლინის ჩადგომის შემდეგ.

ინგლისი
ჰოლანდია
ბელგია
ნორმანდიის
ბრეტანი
ლა-მანშ
ენა
ბერლინი
ბონი
ბავარია
ავსტრია
ბოემია
ბავარია
ალპები
ელზასი
ლოტარინგია
ბერნი
ბაზელი
ბავარია
ბოემია
ავსტრია
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ბერლინი
ბონი
ბავარია
ბოემია
ავსტრია
ბუდაპეშტ